

### ბესიკის საფლავის ძიების ისტორიიდან

1989 წლის დასაწყისში ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნდა ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გივი მეფისაშვილის წერილი „გადმოვასვენოთ ბესიკი სამშობლოში“.<sup>1</sup> „მწარე ბედი არგუნა წუთისოფელმა ჩვენს გამოჩენილ პოეტს, ბესიკს, რომელმაც თავისი ცხოვრება დაამთავრა რუმინეთში. ქალაქ იასაში, სადაც დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა ... ჯერ კიდევ 60-იან წლებში საკითხი ბესიკის გადმოსვენების შესახებ დავაყენეთ საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. ამ საკითხით დაინტერესდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც. ამის შესახებ უფიქრია აგრეთვე გამოჩენილ რევოლუციონერსა და სახელმწიფო მოღვაწეს სეროიოჟა ქავთარაძეს, რომელიც მაშინ რუმინეთში იმყოფებოდა. მაგრამ მაშინ ვერ მოხერხდა ამ პატრიოტული განზრახვის განხორციელება. 1967 წელს სერგო ქავთარაძემ წერილიც გამოგვიგზავნა, რომელსაც ქვემოთ ვთავაზობთ მკითხველს. ხომ არ დადგა დრო, ისევ ვიფიქროთ რუმინეთიდან (იასიდან) ბესიკის გადმოსვენების შესახებ ... ბესიკის მთელი შთამომავლობა ქუთაისში დამკვიდრდა ხანგრძლივი დროით და დღესაც გაბაშვილის გორას ეძახიან ქალაქის იმ უძველეს ადგილს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ... ხომ არ იქნებოდა უპრიანი, ბესიკი გადმოსვენებულ იქნეს ქუთაისში კულტურისა და დასვენების პარკში, რომელიც მის სახელს ატარებს“.

მეფისაშვილის წერილს თან ერთვოდა სერგო ქავთარაძის მიერ მისთვის 1967 წელს მიწერილი წერილიც, „პატივცემულო ამხანაგო! თქვენი ბარათი მივიღე თავის დროზე, მაგრამ პასუხი ცოტა დამიგვიანდა. ამის მიზეზი ჩემი ცუდი ჯანსაღობა იყო, რაც ახლაც გრძელდება. მე გადავიტანე ძალიან მწარე ოპერაცია თვალის. პროცესი მოშუშებისა ძალიან წელი ნაბიჯით მიდის. გარდა ამისა, საოცარმა გრიპმა სავსებით დამაუძღურა. წერა და კითხვა ჯერჯერობით ძალიან შეზღუდული მაქვს. ასე რომ, სტატიების დაწერას ვერ დაგპირდებით. უმჯობესია თუ ქუთაისში ჩამოსვლა მომიწია (ეს დამოკიდებულია ადგილობრივი ხელმძღვანელობისაგან) მე შემიძლია

<sup>1</sup> სტატია დაწერილია ისტორიკოსთა ქართულ-რუმინული საერთაშორისო კომისიის მუშაობის ფარგლებში.

ვუკარნახო თქვენი გაზეთის თანამშრომელს იმ ფაქტების შესახებ, რომელნიც თქვენ გაინტერესებთ. რაც შეეხება ბესიკის საფლავს, ჩემსობას ასეთი მდგომარეობა იყო. ბესიკის საფლავის ქვა ნახეს წარწერით (ქართულად). რამდენადაც მახსოვს, ბესიკი გაუსვენებია მის ძმას. ეს ქვა შენახული დავტოვე იასაში. საფლავი არ იყო მოძებნილი. ჩემი აზრით, მისი აღმოჩენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან ტერიტორია (ეკლესიის ეზო) ძალიან პატარა იყო. ჩემ დროს ის ძველი სასაფლაო ბაზრად იყო გამოყენებული. მე მაშინ მოვიწერე მოსკოვსა და საქართველოში ამის შესახებ დაწვრილებით, მაგრამ მაშინდელ აქ მყოფ 'პატრიოტების' გულში და ტვინში ამ ცნობამ არავითარი რეზონანსი არ გამოიწვია. მე შემეძლო ნეშტი და საფლავის ქვა გამომეგზავნა საქართველოში. რუმინელები დიდი სიამოვნებით ყოველგვარ დახმარებას გამიწევდნენ, მაგრამ ჩემი მიმართვა დარჩა ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა. გისურვებთ კარგად ყოფნას. გულითადი სალამით ს. ქავთარაძე. 28.III.1967".<sup>1</sup>

ცნობილი ქართველი პოეტი ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილი (1750-1791), საყოველთაოდ ცნობილი როგორც ბესიკი, თავდაპირველად მოღვაწეობდა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის კარზე. 1778 წელს დიპლომატიური მისიით გაგზავნეს ირანში. ერეკლე მეფესთან გართულებული ურთიერთობის გამო იძულებული გახდა გადასულიყო იმერეთში. 1787 წელს იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის დიპლომატიური დავალებით გაემგზავრა რუსეთში, სადაც შეხვდა ფელდმარშალ გრიგორი პოტიომკინს. დარჩა პოტიომკინის ბანაკში ჯერ კიშინიოვში და შემდეგ იასაში (დღეს ეწოდება იაში). სადაც გარდაიცვალა კიდეც 1791 წელს.

გარკვეული პერიოდი სადავო იყო არა მარტო ბესიკის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილი, არამედ გარდაცვალების თარიღიც. მარი ბროსე წერდა, რომ ბესიკი გარდაიცვალა კრემენჩუგში, თარიღს კი არ უთითებდა.<sup>2</sup> პაველ ბუტკოვი ზოგადად აღნიშნავდა, „Виссарион, под именем князя Габаинова, с братом своим Семёном Габаиновым, были посланниками в России от царя Давида в 1790 году и в России умер“.<sup>3</sup> პლატონ იოსელიანი კი თვლიდა, რომ ბესიკი 1793 წელს გარდაიცვალა, „ბესიკი, ანუ ბესარიონ გაბაშვილი, მოლექსე, მოკვდა 1793 წელსა. ამაზედ მრავალი სწერია და მე აღარ განვიმეორე“.<sup>4</sup>

ერთ-ერთი პირველი ვინც ბესიკის გარდაცვალების თარიღი და ადგილი მართებულად განსაზღვრა იყო ზაქარია ჭიჭინაძე. 1885 წელს მან გამოსცა პატარა წიგნი, „ბესიკი, ლექსნი თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისგან“, სადაც აღნიშნავდა, რომ ბესიკი „რამდენიმე ხანს ქალაქ იასაში დარჩენილა, გენერალ პოტიომკინის მახლობლივ, რომლისგანაც უნდა შეეცყო ხოლ-

<sup>1</sup> მეფისაშვილი, *გადმოვასვენოთ ბესიკი სამშობლოში*, გვ. 234-236.

<sup>2</sup> Brosset, *Histoire de la Géorgie*, გვ. 398.

<sup>3</sup> Бутков, *Материалы*, გვ. 184.

<sup>4</sup> იოსელიანი, *ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა*, გვ. 320.

მე პასუხები რუსეთის მთავრობისა, შესახებ საქართველოს საქმეებისა. იქ ყოფნის დროს ბესიკი ავად გამხდარა და 1791 წ. იანვრის 24-სა გარდაცვალებულა, აი ესეც მისი საფლავის ზედწარწერა: 'საფლავსა ამას შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ იობიან გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილი იყო იმერთა მეფისგან დესპანათ რუსეთის დიდებულების საიმპერატორო კარისადმი და მიიცვალა აქა იასსა წელსა მ. წელთა ჩღჟა იანვარსა კდ. მხილველნო, შენდობის მთხოველი'. საფლავს ბოლგრული წარწერაც აქვს. დასაფლავებულია ბოლგარიის ერთს ეკლესიაში".<sup>1</sup> აქ ზაქარია ჭიჭინაძეს ორი უზუსტობა აქვს: იასა ბულგარეთის ქალაქი გონია ეტყობა და ამიტომ წერს ბულგარეთში (ბოლგარიაში) არის დაკრძალული და რომ ბესიკის საფლავის ქვაზე წარწერა ბულგარულად არის შესრულებული.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ზაქარია ჭიჭინაძე ფაქტობრივად უშეცდომოდ გამოსცემს საფლავის ქვაზე არსებული წარწერის ტექსტს. აქ უნდა გავიმეორეთ სარგის ცაიშვილის კითხვა, „საიდან აიღო ზ. ჭიჭინაძემ ეს ცნობა, ან საფლავის ქვის წარწერა?! ამაზე იგი არას ამბობდა. ამიტომაც ზ. ჭიჭინაძის ეს ცნობა ერთ დროს ეჭვის ქვეშ იდგა“.<sup>2</sup>

1904 წელს ალექსანდრე ხახანაშვილმა გამოსცა წიგნი „ქართული სიტყვიერების ისტორია“, სადაც ბესიკის ლექსებიც შეიტანა. ამ წიგნში აღნიშნულია, რომ „ბესიკი – 'მესაიდუმლე მდივანი' სოლომონ მეფისა, მოვიდა მოსკოვს, ნახა პეტერბურგი და ქალაქ იასით ბრუნდებოდა სამშობლოში. იასაში მას უნდა ენახა გენერალი პოტიომკინი. ამ ქალაქში გარდაიცვალა 1791 წ. და აქვე დაიმარხა, რასაც მოწმობს მის საფლავზედ ზედწარწერა: 'საფლავსა ამას შინა მდებარე არს თავადი იობიან გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილი იყო იმერთა მეფისგან დესპანათ რუსეთის დიდებულების საიმპერატორო კარისადმი და მიიცვალა აქა იასსა წელსა ჩღჟა იანვარსა კდ. მხილველნო, შენდობის მთხოვნელი (ვარ)'. საფლავს ბულგრულს ენაზედაც აქვს წარწერა“.<sup>3</sup> აქაც მცირე უზუსტობაა. ბესიკი იყო არა სოლომონ II-ის იგივე დავით არჩილის ძის, არამედ დავით გიორგის ძის წარგზავნილი.

1932 წელს ალექსანდრე ბარამიძემ და ვალერიან თოფურიაშვილმა გამოსცეს ბესიკის თხზულებათა სრული კრებული. წინასიტყვაობაში მათ აღნიშნეს, „ეჭვი არაა რომ მოტანილი ცნობა მეტისმეტად საინტერესოა, მაგრამ ავტორი ჩვეულებრივად წყაროს არ ასახელებს და დასკვნას კატეგორიული ხასიათს აძლევს“.<sup>4</sup>

სავარაუდოდ ინფორმაცია ბესიკის საფლავის ქვის წარწერის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძეს ვილაცამ მიაწოდა. იმ ვილაცამ, ვინც ალბათ თავად ნახა ბესიკის საფლავი. ვინ იყო ეს „ვილაც“ და როგორ აღმოჩნდა იასაში, უცნობია და ალბათ არც არასდროს გაირკვევა.

<sup>1</sup> ჭიჭინაძე, ბესიკი, გვ. 11.

<sup>2</sup> ცაიშვილი, ბესიკი, გვ. 78.

<sup>3</sup> ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 535.

<sup>4</sup> ბესიკი, თხზულებათა კრებული, გვ. 070.

1940 წელს ალექსანდრე ბარამიძე წერდა, „ცხადი ხდება, რომ ბესიკი გარდაცვლილა კრემენჩუკიდან წასვლის შემდეგ, პოტიომკინის ბანაკში ყოფნისას... ყოველი მოსაზრება უჩვენებს ქ. იასაზე, როგორც ბესიკის გარდაცვალებისა და საბოლოო განსასვენებლის ადგილზე“.<sup>1</sup>

იგივე გაიმეორა ალექსანდრე ბარამიძემ 1946 წელს. „ბესიკს უხდებოდა ცხოვრება პოტიომკინთან ჯერ კრემენჩუგში (უკრაინა), შემდეგ იასაში (ბესარაბია). აქ იგი ავად გამხდარა. მიუხედავად ამისა, საქმე ოსტატურად წარუმატავს, წარმატებით დაუმთავრებია მოლაპარაკებები, მაგრამ საუბედუროდ, სიკვდილს მოუსწრაფავს მისი ახალგაზრდული სიცოცხლე. ჩვენი დიდებული პოეტი გარდაცვლილა იასაში 1791 წლის 24 იანვრის სუსხიან ღამეს, თუ 25-ის განთიადზე (ძველი სტილით). ბესიკი იქვე იასაში დაასაფლავეს. ბესარაბიის მიწამ მიიზარა მზიური ქვეყნის მგზნებარე პოეტის გული.“ იქვე ალექსანდრე ბარამიძეს გაკეთებული აქვს მინაწერი, „კარგი იქნებოდა, რომ მწერალთა კავშირი ითავებდეს ბესიკის საფლავის დაძებნას იასაში და მისი ნეშტის გადმოსვენებას საქართველოში“.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ ბესიკის გადმოსვენების საკითხი გივი მეფისაშვილზე ადრე დააყენა ალექსანდრე ბარამიძემ. იმ დროისთვის ბესიკის დაკრძალვის ადგილი, ქალაქი იასა კი იყო ცნობილი, მაგრამ თავად ამ ქალაქში პოეტის საფლავი დაკარგული იყო. ამიტომ საუბრობდა ალექსანდრე ბარამიძე იასაში ბესიკის საფლავის დაძებნაზე.

1944 წლის აგვისტოში, მეორე მსოფლიო ომის გზებმა რუმინეთში და კერძოდ ქალაქ იასაში მიიყვანა მიხეილ კვესელავა. აი რას წერდა იგი მოგვიანებით, „ჩვენი ფრონტის მთავარი დარტყმა ქ. იასის ჩრდილოეთით იყო მიმართული ... მე ერთი სული მქონდა, როდის შევიდოდით იმ ქალაქში. მეგონა, რომ იქ იყო დასაფლავებული ჩვენი სასიქადულო პოეტი ბესარიონ გაბაშვილი, რომელიც ‘ბედუკულმართმა ნუთისოფელმა გასტყვარცნა’ ასე შორს და რუმინეთის მიწას მიაზარა მისი ნეშტი. მაშინ გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ქალაქში შესვლისთანავე ვიპოვიდი და ცოცხალი ყვავილების გვირგვინითაც შევამკობდი მის საფლავს ... მძიმე ბრძოლების შემდეგ 22 აგვისტოს უკრაინის მეორე ფრონტის ნაწილები ქალაქში შევიდნენ ... ამის შემდეგ იასაში კი შევედი, მაგრამ ჩემი იმედი ამაო გამოდგა. ბესიკის საფლავის კვალსაც ვერ მივაგენი. ან ვისთვის უნდა მეკითხა, როცა ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ სარდაფებში იმალებოდა. არც მე მქონია საამისო დრო, იასაში სულ ერთი დღე დავრჩი, ისიც ქალაქის მმართველობის აღდგენას მოეუწინა. არც ეს იყო ადვილი. უმაღლესი ბესიკის საფლავს იპოვიდა კაცი, ვიდრე ქალაქის მერობის მსურველს ... სხვა რომ არავინ შემხვდა ისეთი ქალაქ იასის ახალდანიშნულ მერს ვკითხე, ხომ არაფერი გაგიგონიათ ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილის შესახებ, რომელიც თქვენს ქალაქშია დამარხული-მეთქი. იმან პასუხის ნაცვლად ჯერ თვალეზი მოჭყუ-

<sup>1</sup> ბარამიძე, *ნარკვევები*, გვ. 430.

<sup>2</sup> ბარამიძე, *ბესარიონ გაბაშვილი*, გვ. 4.

ტა, მერე მხრები აიჩეჩა და ბოლოს როგორც იქნა, წარმოთქვა, ამის მსგავსი არაფერი გამიგონიაო ... ერთი წლის შემდეგ ისევ დავბრუნდი იასაში. ომი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ვერც მაშინ მივაგენი ბესიკის საფლავს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არაფერი იცოდნენ ქართველი პოეტის შესახებ, 'რომელიც თურმე მათ ქალაქშია დამარხული'. ვისაც არ ვკითხე, ბესიკი კი არა, საქართველოც არ ჰქონდათ გაგონილი. მთელ ჩვენ მხარეს კავკასიას ეძახდნენ. კიდევ ათი წელი რომ გავიდა, მესამედ მომიხდა რუმინეთში ყოფნა, საბჭოთა კავშირის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის შემადგენლობაში. ამ დროს საძებნელი უკვე არაფერი იყო: აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, პოეტ აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს და დოცენტ ოთარ გიგინეიშვილს უკვე ენახათ, რისი ნახვაც შეიძლებოდა – ბესიკის საფლავზე ოდესღაც დადგმული ძვირფასი მარმარილოს ფიქალი".<sup>1</sup>

1949 წელს ქართველი მეცნიერები: ნიკოლოზ (ნიკო) ბერძენიშვილი, აკაკი შანიძე და ოთარ გიგინეიშვილი ბულგარეთში უნდა წასულიყვნენ პეტრიწონის ქართველთა მონასტრის მოსანახულებლად. საბჭოთა კავშირიდან ბულგარეთში მატარებლით უნდა გამგზავრებულიყვნენ. ეს კი გზად რუმინეთსა და კონკრეტულად ქალაქ იასაში გავლას ნიშნავდა. ამ დროს რუმინეთში სსრკ-ს ელჩი კი სწორედ სერგო ქავთარაძე იყო.

თუ რა მოხდა იასაში, ამის შესახებ ნიკო ბერძენიშვილი მოგვიანებით წერდა: „27 მარტს დილის 9 საათზე იასას მივედი. ბუქარესტიდან ელჩს დაურეკია და იასელი კონსული სადგურზე დაგვხვდა. თავისთან წაგვიყვანა. იგივე მოგვითხრო რაც ელჩმაც გვაცნობა. მაინც ჩვენ დასარწმუნებლად, არქივისა და მუზეუმის დირექტორს გამოუძახა. მალე მოვიდა ერთი შედარებით ახალგაზრდა კაცი. მოჰყვა: ის ოცდასამი წელია აქაურ მუზეუმსა და არქივს განაგებს. აქაური სიძველეები კარგად იცის და გადაჭრითაც შეუძლია სთქვას, რომ ბესიკ 'გაბაზილის' შესახებ არც წერილობითი მოწმობა და არც მატერიალური ნიშანი რამ იასაში არ გადარჩენილა. მისი აზრით ბესიკი, რადგან ის ახალგაზრდა გარდაიცვალა, ხოლერას უნდა ემსხვერპლა, რაიც 1790-1791 წლებს დიდად მძვინვარებდა იასაში. ამ სენით დაღუპულთ კი ერთ სასაფლაოზე მარხავდნენ (გვიჩვენებს შორს მთაზე). იქ დღეს აღარაფერია. ლოდები დიდი ხანია საშენ მასალად დაიტაცეს, ზოგმა საფლავის ქვადაც მოიხმარა ... რაც შეეხება იასის არქივს, ის მხოლოდ 1828 წლიდან მოიპოვება. მის უადრესი ხანძრისაგან დაიღუპა. მე შევნიშნე, რომ სავალდებულო არაა ბესიკის გარდაცვალება ხოლერასაგან, ასე რომ შესაძლებელია მისი საფლავი სხვაგან იყო ... არც სხვაგან ჩანსო. დავლონდით ... არქივის დირექტორმა მუზეუმის დათვალიერება შემოგვთავაზა. ეს მუზეუმი აქვეა ძველ 'სანირველოში' (ეკვდერში). კონსული და მუზეუმის დირექტორი წინ წავიდნენ. მე საფლავის ქვები შევამჩნიე და უნებურად იქით წავედი ... მუზეუმის შენობის გვერდით რამდენიმე ლოდია. მეც მათ მივადექი. ერთი ლოდი ცალკეა, გვერდზე აუყუდებიან, წარწერიანი პირიც გარეთ აქვს. ვხედავ ქართუ-

<sup>1</sup> კვესელავა, *ას ერგასის დღე*, გვ. 56, 58, 61-64.

ლი წარწერა. ნავიკითხე. თითქოს ძვირფასი რამ დანაკარგი ვიპოვე, თითქო უცბათ ვიღაც ქართულად გამომელაპარაკა! რამდენი ხანია 'შენდობის მთხოვნელი' ბესიკი უცხოეთში ელის შენდობას (და მოვლა-ყურადღებას) თვისტომთაგან! ოთარს ვუყვირე ვიპოვე მეთქი. არქივ-მუზეუმის დირექტორიც მოვიდა, კონსულიც. დირექტორი დარცხვენილია თავს იმართლებს რა მექნა, ნაკითხვა არ ვიცოდითო. მაგრამ ეს ლოდი, ისე როგორც სხვებიც, აქ უადგილოდაა. მუზეუმის დირექტორმა ერთი პროფესორი დაასახელა, კოსტატესკუ მახაი, რომელმაც ყველაფერი იცის ამ ლოდებისო. კონსულმა მანქანა გაუგზავნა და პროფესორი მოიყვანა. გიორგი უნგურიანომ (მუზეუმის დირექტორმა) პროფესორს საქმის ვითარება შეატყობინა. კოსტატესკუმ მოგვითხრო, რომ მან ეს ლოდები 1922 წელს დაღუპვას გადაარჩინა. მან ისინი ქალაქის სალახზე (нойня) იპოვა და აქ მოიტანა. იმ ხანაში მრავალი ასეთი ქვა განადგურდა: საშენ მასალად ან საფლავისავე ქვებად ჰყიდდნენ. პოტიომკინის ლოდი, ორი ამოდენაც იქნებოდა, იმავე დროს დაიღუპა, ის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე იყო. ესენი რომელი სასაფლაოდანაა, არ იცის ... გვეწყინა. თითქოს ვიპოვე ბესიკი და ისევ მიიჩრდილა. ქვა გავზომე (161, 71, 30). კარგი ხელობისაა, ის გვერდების მხრითაც გათლილია და ფიგუროვანი. ალბათ ამ ლოდს ქვეშასეგები ქვა ჰქონდა. ლოდს თავში ორი საზეთე (საკანდელე) აქვს ამოთლილი. ამას მოსდევს ვენზელში გერბი რალაც გვირგვინით. ქვემოთ ერთიმეორეზე გადაჭდობილი შიშველი მკლავები შიშველივე ხმლებით ხელში. აქვე ამ სურათის მარჯვნივ და მარცხნივ ორი ასო – ქართული ასომთავრული ლამაზად ამოკვეთილი ბ. გ. (ე.ი. ბესარიონ გაბაშვილი). შემდეგ ხაზს ქვემოთ ბერძნული წარწერა და მცირე ინტერვალის შემდეგ მიჰყვება ქართული მხედრული: საფლავსა ამასა შინა მდებარე არს/ თავადი ბესარიონ ზაქარიას ძე იობიან/ გაბაშვილი რომელიცა წარმოგზავნილი იყო იმერეთისა მე/ფისა დავითისაგან დესპანად რუსეთისა დიდებულისა საიმპერატოროსა კარისადმი და მიიცვალა აქ იასს/ წლისა მწელსა ჩღჟა იანვარს კდ/ მხილველთაგან შენდობისა მთხოვნელი. ქვა ავაყენებინე და ოთარმა ასეც გადაიღო. იმედია ბერძნული წარწერის ამოკითხვაც შესაძლებელი იქნება. თითქო ჩვენი ძიება დასრულდა ... ერთი რამ შეიძლება: აქაური ძველი კაცები უნდა დაიძებნოს, ამ ქვების შესახებ იქნებ ვინმემ იცოდეს, თუ რომელი სასაფლაოდანაა ისინი. ასე რომ ვბჭობთ, მუზეუმის დირექტორს რალაც გაახსენდა და ნავიდა, მოვლო, დაგვპირდა. კონსულმა შინ ჩაიზე მიგვიპატიჟა. კარგა დრო გასულა. როგორც ჩანს ჩვენ დღესვე ნავალთ. ჩვენს განკარგულებაში ორი საათიღაა. დირექტორი მალე დაბრუნდა მხიარული სახით: ვიპოვეო, გვახარა. ორი წიგნი მოიტანა: 1. ადგილობრივი მუზეუმის ბიულეტენი №5, 1925 წლისა და 2. პროფესორ იორგას შრომა: იასის ძველი საფლავის ქვების აღწერილობა 1907 წლისა. ამ შრომების შინაარსიდან გამოირკვა: რუმინეთის ისტორიკოსთათვის ცნობილი ყოფილა, რომ იასაში მოიპოვება საფლავის ლოდი ქართული წარწერით (ლოდი №6), არ მოყავთ ოლონდ წარწერის შინაარსი. ამავე ნაშრომებიდან ირკვევა (ასეთი დასკვ-

ნა გამოვიტანე არქ. დირექტორის თარგმანიდან): ეს ლოდი სხვა ასეთსავე ლოდებთან ერთად წმ. პარასკევას (Snt. Vineri) ეკლესიის გალავანში იყო. ის ეკლესია დიდი ხანია რაც გაუქმდა. მის ადგილას დღეს ქალაქის ერთ-ერთი საბაზრო მოედანია. თვით ეკლესიის საკურთხევლის ადგილას კი 1895 წელს იასის პრიმასს აუგია ძველი ჯვრით. ეკლესიის ეზოში რომ ლოდები იყო, ქალაქის ახალ სასაფლაოზე გადაუტანიათ. აქ ისინი ბუნებრივია უფუნქციონი და უპატრონონი, დაუტაცნიათ, საფლავის ქვებად გადაუთლიათ, საშენ მასალად წაუღიათ და სხვა. სულ ერთიანად გამქრალა ლოდები, მხოლოდ ექვსიოდე გადარჩენილა და ისიც სრულიად შემთხვევით. 1922 წელს, როგორც აღვნიშნე, პროფესორ მიხაი კონსტატესკუს ისინი სალახიდან წამოუღია და გოლიას ეკლესიის გალავანში დაუცავს, სადაც დღესაც იმყოფება. ბესიკის საფლავის ლოდის მთელი ამ თავგადასავლის კრიტიკულად შესწავლის დრო ჩვენ აღარა გვქონდა. ვთხოვეთ კონსულს და წმ. პარასკევას ნაეკლესიარზე წავედით. სურათი გადავიღეთ. არც თუ დიდი მოედანია. აქ, ამ ბაზრის მიდამოში, სადღაც განისვენებს (შეიძლება შეუძვრელადაც) მოუსვენარი ბესიკი 'შენდობისა მთხოვნელი'. რაკი სასაფლაო აღმოჩნდა, ბესიკის საფლავის დადგენა დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. იასელ ძველ კაცებს, დაახლოებით მაინც ეცოდინებათ თუ სად იდო ეს ქვა. ეს სასაფლაო 1890-1895 წლებშია გაუქმებულ-აყრილი, ასე რომ მოქმედი სასაფლაოს მახსოვარი ჯერ კიდევ ბევრი იქნება იასაში. ეხლა უკვე ჩვენი მუშაობისა შედარებით კმაყოფილი ვარ. წამოსვლის დროც მოვიდა. კონსულს ვთხოვე ბუქარესტში ელჩისთვის ეცნობებინა ჩვენი ეს წარმატება. ადგილობრივ გაზეთში გამოსაცხადებლად ცნობა მივანოდე არქივის დირექტორს. 3 საათსა და 15 წუთზე იასიდან სამშობლოს საზღვრისკენ წამოვედით“.<sup>1</sup>

ბესიკის საფლავის ქვის პოვნის ამბავს აღწერს ოთარ გიგინეიშვილიც, „ს. ქავთარაძეს ვთხოვეთ, რათა დაგვხმარებოდა 1791 წლის 25 იანვარს რუმინეთში ქ. იასაში გარდაცვალებული და იქვე დაკრძალული პოეტ ბესიკის საფლავის მოძებნაში ... პასუხი კი არ იყო სანუგეშო ... არსებულ სასაფლაოებზე ქართველი პოეტის ვერავითარ კვალს ვერ მივაგენითო ... ქ. იასის არქივი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში მთლიანად დაინვა ... ჩვენთან ადგილობრივი არქივის გამგე და მუზეუმის დირექტორი გამოცხადდა. მან სიტყვა სიტყვით გაიმეორა ყველაფერი ის, რაც ამხ. ს. ქავთარაძისადმი გაგზავნილ წერილში იყო და ბოლოს დასძინა: გაბაზილის (ასე გამოსთქვამდა იგი გაბაშვილს) საფლავი სამუდამოდ დაკარგულიაო. ვკითხეთ – იქნებ ოდესმე, სადმე ენახა რაიმე ქვა მისთვის უცნობი წარწერით, მაგრამ აქაც თავი გაიქნია უარის ნიშნად და თანაც 'გვანუგეშა': მას აღბათ როგორც დესპანს მარმარილოს ქვა დაადგესო და ყველა მარმარილოს ქვა ეკლესიამონასტრების გალავნიდან დაიპარეს სხვა ჭირისუფლებმაო ... მუზეუმისკენ მივიწვინა არქივის გამგემ ... მუზეუმის გვერდით საფლავის ქვებს მოვკარით თვალი. ათიოდე იქნებოდა. მიახლოებისას ჩემი ფოტოაპარატი

<sup>1</sup> ბერძენიშვილი, *ძლევაი*, გვ. 64-68.

მოვიმარჯვე, რათა გადამელო. აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი ქვებს მიუახლოვდა და წარწერებს ათვალერებს. მინდა ხელსაყრელი მომენტი შევარჩიო გადასაღებად, აი ბერძენიშვილი ერთ მარმარილოს ქვასთან დაიხარა, მეც თითს ვადებ საკეტს, მან კი უცებ დაარტყა ხელი მარმარილოს ქვას, ჩემსკენ შემოტრიალდა და მომიხმო. დავხედე. ლამაზად გამოყვანილი ქართული ასოებით ეწერა: საფლავსა ამასა შინა მდებარე არს თავად ბესარიონ ზაქარიას ძე იობიან გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილი იყო იმერთა მეფისგან დავითისაგან დესპანად რუსეთისა დიდებულებისა საიმპერატორო კარისადმი და მიიცვალა აქა, იასს წლისა მ, წელსა ჩღჟა ო იანვარს. მხილველთაგან შენდობისა მთხოვნელი. ქვაზე ტექსტი წარწერილია აგრეთვე ბერძნულ ენაზეც. ეჭვი არ არის ეს ბესიკის საფლავის ქვაა, არქივების გამგეს სახეზე სინითლემ გადაჰკრა – ოცი წელიწადია ყოველ დღე უყურებს ამ ქვას და არ იცოდა თუ რა იყო იგი. ქვა აღმოჩნდა მაგრამ საფლავი? ქვაზე ამოკვეთილი იყო ციფრი 6. როგორც აგვისხსნეს, ეს რუმინელი პროფესორის იორგას მიერ არის დანომრილი და ნიშნავს, რომ ის შეტანილია მის ნიგნში 'წარწერები იასის ეკლესიებიდან'. მალე ეს ნიგნიც მოგვიტანეს. იქ მე-6 ნომრის ქვეშ აღნიშნული იყო: ქვა ქართული წარწერით. მაგრამ წარწერის შინაარსზე კი არაფერი იყო ნათქვამი. როგორც ნიგნიდან სჩანს, ქვის თავდაპირველი სამყოფელი ადგილი წმინდა პარასკევას ეკლესიის სასაფლაო იყო, რომელიც გაუქმებული იქნა გასული საუკუნის მიწურულს. ეს ადგილობრივმა რუმინელებმაც დაგვიდასტურეს. წმინდა პარასკევას სასაფლაოს გაუქმების შემდგომ ეს ქვა რამდენჯერმე ადგილიდან ადგილზე გადატანის შემდეგ მოხვდა გოლიას მონასტერში. მაშ ბესიკიც წმინდა პარასკევას ეკლესიასთან ყოფილა დასაფლავებული. მივემგზავრებით იმ ადგილის სანახავად. ეს შედარებით მცირე მოედანია. ახლა აქ ქალაქის ერთ-ერთი ბაზარია გამართული, მოედნის შუაგულში კი იქ სადაც უნინ ეკლესია იდგა, ყველა აქ განსვენებულთა ხსოვნის აღსანიშნავად ჯვრით დაგვირგვინებული ობელისკია აღმართული".<sup>1</sup>

ნიკო ბერძენიშვილის მიერ ბესიკის საფლავის ქვის პოვნა მნიშვნელოვანი ამბავი იყო. დადასტურდა ის, რასაც თავის დროზე წერდა ზაქარია ჭიჭინაძე. თუმცა გაურკვეველი დარჩა, სასაფლაოს გაუქმებისას ბესიკის ნეშტი სადმე სხვაგან გადაასვენეს თუ ადგილზევე დარჩა.

ბესიკის ცხოვრებასა და მოღვაწეობას დიდი მონდომებით იკვლევდა ცნობილი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე და მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა კიდევ ამ საკითხს. ლეონიძე რამდენჯერმე იყო ნამყოფი რუმინეთშიც.

1950 წელს, ანუ ბესიკის საფლავის ქვის პოვნისაგან ერთი წლის შემდეგ გიორგი ლეონიძე იმყოფებოდა რუმინეთში. „1950 წლის 15 იანვარს ბუქარესტში დარბაზ 'ათენეუმ პალასში' გაიმართა მ. ემინესკუს დაბადების 100 წლისადმი მიძღვნილი საღამო. სიტყვით გამოვიდა გიორგი ლეონიძე. პოე-

<sup>1</sup> გიგინეიშვილი, *ბესიკის საფლავი*, გვ. 4.

ტი ეხება რუმინეთ-საქართველოს მეგობრობას და ამბობს: 'მაგონდება XVIII საუკუნის ყველაზე პოპულარული ქართველი პოეტი, შეუდარებელი სიტყვის ოსტატი, ლექსის ჯადოქარი, ბრძოლების მომღერალი, სატირიკოსი ეპიგრამისტი ბესიკ გაბაშვილი. იგი საქართველოს მეფის ელჩი იყო პოტიომკინთან, 1791 წელს გარდაიცვალა 40 წლის ასაკში. დასაფლავებულ იქნა იასაში. სადაც ჰყავდა ბევრი ნაცნობი'.<sup>1</sup>

რუმინულ გაზეთ „სკინტეიში (Scintea)“ დაიბეჭდა ინტერვიუ გიორგი ლეონიძესთან. გაზეთის კორესპონდენტი წერდა, აი რა საინტერესო და ჩვენი ხალხისათვის ნაკლებად ცნობილი ფაქტების შესახებ გვესაუბრა იგი. დიდი ქართველი პოეტი, რომელიც გაეცნო ჩვენ ქვეყანას და დაკრძალულია იასაში. იასაში, გოლიაში ინახება XVIII საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის ბესიკ გაბაშვილის საფლავის ქვა. ბესიკი გარდაიცვალა 1791 წელს, დაკრძალულ იქნა წმ. ვინერიის ეკლესიაში, რომელიც მოგვიანებით დაინგრა. სასაფლაოს ადგილას ახლა ბაზარია. მაგრამ შენახულია საფლავის ქვა ... ბესიკ გაბაშვილმა, მნიგნობარმა და დიპლომატმა, მოლდავეთში რამდენიმე წლით (?) თავისი ყოფნით შესაძლოა დატოვა სხვა კვალიც: მას ჰქონდა, მაშინდელი ჩვეულების მიხედვით, პირადი არქივი, რომელშიც ინახავდა დოკუმენტებსა და ნაშრომებს. მან იასაშიც დანერა ოდები, ელეგიები, სატირა, ეპიგრამები და ა. შ. შეიძლება სარწმუნოდ ითქვას, რომ იასაში მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა რომელიმე ოჯახთან და მაშინდელი ჩვეულების მიხედვით შესაძლოა უსახსოვრა თავისი სახე – პორტრეტი ან ქანდაკება, ისევე როგორც ეს ჩვეულებადაა საქართველოში”.<sup>2</sup>

გიორგი ლეონიძე რუმინეთში 1958 წელსაც ჩავიდა. ამ ვიზიტის ვრცელი აღწერა მან იმავე წელს გამოაქვეყნა. „იასის დათვალიერების დროს მომაგონდა აქ ორი გადახვეწილი ქართველი მწერალ-მოღვაწის გაიოზ ბართაშვილისა და იონა გედევანიშვილის შეხვედრა 1790 წელს ... ეს ამბავი სწორედ ბესიკის იასაში ყოფნის დროს მოხდა და ქართველი კაცის დანახვა ბესიკსაც, ცხადია, არანაკლებ გაუხარდებოდა. სხვათა შორის, ბესიკის იასაში ყოფნისას, გაიოზისა და იონას გარდა ქართველებიდან კიდევ იყვნენ: ერეკლე მეორის წარმომადგენლები – სულხან მდივანი თუმანიშვილი და მისი თანამშრომელი და მსახურნი; იმერეთის მეფის დავითისა – ბესიკის ბიძაშვილი სიმონ გაბაშვილი; რუსეთის ატაშე სერგეი ბიბილურ-ლაშქარაშვილი და სხვ. ... განსაკუთრებული ინტერესით მოეკიდა ბესიკს ქალაქის მესვეური, იგი გვპირდება ქალაქში ბესიკის ბიუსტის დადგმას ... ქალაქის დათვალიერებაში დრო გავიდა, მე მოუთმენლად მოველი ბესიკის საფლავის ფიქალის ნახვას, რომელიც შარშან აკად. ნ. ბერძენიშვილმა და ო. გიგინეიშვილმა ინახულეს, მაგრამ უცნაურია, რომ ჩემს სათხოვარზე მასპინძლები კრინტსაც არ სძრავენ. მე მიკვირდა მათი მდუმარება. ბოლოს გაირკვა, რომ ჩემს მეგობარ მწერლებს გაგონებითაც კი არ გაუგონიათ ბესიკის ვინაობა

<sup>1</sup> მაჭარაძე, გიორგი ლეონიძე, გვ. 11.

<sup>2</sup> მაჭარაძე, გიორგი ლეონიძე, გვ. 15.

და სახელი და მით უმეტეს, ბესიკის ქ. იასაში დამარხვის ამბავი. რა გაიგეს დაფაცურდნენ ... ს. ყაუხჩიშვილმა ჩემი თხოვნით ეპიტაფიის დიდი ნაწილი ამოიკითხა და მითარგმნა, რისთვისაც დიდი მადლობა, აი თარგმანიც: როგორც საფლავიდან [...] კაცი იბერიელი, წარმოშობით კეთილშობილი, ბრწყინვალე შვილი ზაქარიასი, სახელად ბესარიონი, კეთილ სათნო ბუნებით, გაბაონთა გვარიდან, ჩამოვიდა ელჩობასთან ერთად კოლხიდიდან. მაშინ გადაუხადა მან ვალი უფალს. იცოცხლა ორმოცი წელი, გარდაიცვალა წელსა ღვთისშობიდან 1791-ს იანვრის. შემდეგ მოსდევს ქართული; საფლავსა ამასა შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ ზაქარიას ძე იობიან გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილ იყო იმერთა მეფისა დავითისგან დესპანად რუსეთისა დიდებულებისა საიმპერატოროსა კარისადმი და მიიცვალა აქა იასსა წელსა ჩღჟთ, იანვარს კდ. მხილველთაგან შენდობის მთხოველი. ბესიკის საფლავის ქვა ძვირფასი მარმარილოა. სწორედ ამ სიძვირფასემ გადაარჩინა იგი დაღუპვას. მისი ისტორია ასეთია: პოტიომკინის ბრძანებით ბესიკი დამარხულ იქნა 'ვინერის' ანუ პარასკევას ძველ ტაძარში, რომელიც სიძველის გამო აიღეს 1879-1880 წლებში. მაშინ ზოგი მიცვალებული გადაიტანეს, ვისაც კი ჭირისუფალი ყავდა. ზოგის ნეშტი ღამით ტომრებით უზიდნით ეტერნიტეს სასაფლაოზე და იქ დაუკრძალნიათ, ზოგი კი უპატრონო სასაფლაოები ისე დაუტოვებიათ. ვფიქრობ, ბესიკი არ გადაიტანეს უჭირისუფლობის გამო. ქვა კი გადაუტანიათ, დიდხანს აქეთ-იქით უმოგზაურია, მერე ქალაქის სასაფლაოზე აღმოჩენილა, აქედან კი სხვა ქვებთან ერთად შერჩევით აქ, გოლიას მონასტერში გადმოუტანიათ ... [საფლავის] პოვნა შესაძლებელი უნდა იყოს და აი როგორ: ვინერის ტაძარი, სადაც ბესიკი იყო დაკრძალული, 1879-1880 წლებში დაანგრიეს. ქალაქის ხელმძღვანელობა უკვალოდ არ მოსპობდა უძველეს ისტორიულ ძეგლს ... ხომ აღრიცხავდნენ ცნობილ პიროვნებათა საფლავებს ტაძარში ... და ქალაქის არქივში ხომ ინახება 'საქმე' ტაძრის დანგრევის გარშემო ... როდესაც საფლავის ქვის ბერძნული წარწერა ვათარგმნინე, გამოირკვა რომ ქვის დამდგმელად იხსენიება იოსები, ბესიკის ძმა ცნობილი კალიგრაფი ოსედ წოდებული. როგორ უნდა მოეხერხებინა საქართველოში მყოფ ოსეს ბესიკისთვის ქვის დადგმა? ძნელია ამის თქმა. ხოლო მას შემდეგ რაც ოსე გადასახლებულ იქნა ჯერ ყიზილარში, შემდეგ ბელგოროდში, იგი მხოლოდ ანა დედოფლის ხარჯით საზრდოობდა როგორც სრულიად უპოვარი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ოსეს სახელქვეშ ანა დედოფალი უნდა იყოს ამოფარებული. ეპიტაფიის ასოთ მოყვანილობაც, ჩემი დაკვირვებით უფრო XIX საუკუნის დასაწყისის დამწერლობის იერისაა ... გამოჩნდა გოლიას მუზეუმის დირექტორი. ინდიფერენტულად უყურებს ბესიკის საკითხს, ემჩნევა, არ აინტერესებს. ზანტად ლაპარაკობს, თითქოს პირველი გაგონებაა მისთვის. მე გავახსენე ქართველ მეცნიერთა ყოფნა იასაში და მათი ძიება ბესიკის საფლავისა. ახ! ვიცი ვიცი! იგი უნდა ემარხოს 'ვინერის' ნასაყდრალზე, ნამდვილად მარხია თუ არა ამასაც ვერ გეტყვით, თავის დროზე მრავალი მიცვალებულის ნეშთი

გადაუსვენებიათ. მე ჩემს მუზეუმში მაქვს ვინერის საფლავიდან ამოღებული ერთი ოქროს ღილი, შესაძლოა სწორედ იმ ქართველი მიცვალებულისაც არის. თქვენ ხომ ამბობთ დესპანი იყო, შესაძლოა ღილი მისი სადესპანო ჩაცმულობისაც იყოს? ბუქარესტიშიც ისევე მღელვარებით ვფიქრობდი ბესიკზე. მოსვენებას არ ვაძლევდი ჩვენს საბჭოთა კავშირის ელჩს რუმინეთში სერგო ქავთარაძეს, ვთხოვდი, თავის მხრივ დაევალებინა იასაში ჩვენი კონსულისთვის ბესიკის მასალათა მოძებნის საქმეში ჩართვა. სერგო ქავთარაძე ყოველგვარ დახმარებას მიწევდა, როგორც ბესიკის ასევე ანთიმ ივერიელის საკითხების გარკვევაში ... მატარებელი ჩამოდგა იასის სადგურზე ... პერონზე მხვდებიან უკვე ნაცნობი, დამეგობრებული იასელი პოეტები და მწერლები. გილოცავთ ამხანაგო ლეონიძე, დადასტურდა ბესიკის საფლავის ადგილმდებარეობა. საბუთი ვიპოვეთ. მომესმის გახარებული ხმა და თითქმის ვაგონის კიბეზე მანვდიან პატარა ალბომს, რომელშიც სხვა ფოტოებთან ერთად, რომელნიც ამ დღეებში დაუმზადებიათ, მოთავსებულია 'ვინერის' ტაძრის გეგმა, რომელზედაც საკურთხევლის წინ ციფრით '6' აღნიშნულია ბესიკის საფლავი. ბესიკი დაუმარხავთ საკურთხევლის წინ 6-7 ნაბიჯზე. ხოლო ტაძრის აღების შემდეგ საკურთხევლის ადგილას ნიში დაუდგამთ. გეგმის მიხედვით ნაბიჯების გამოზომვა გვაპოვნინებს ბესიკის საფლავს ... მივედით 'ვინერის' ნასაყდრალზე, ხელთ გეგმა მიჭირავს '6' ნომერქვეშ აღნიშნულია ბესიკის საფლავი. საკურთხევლის ობელისკიდან გავზომე რამდენიმე ნაბიჯი და ფეხი დავკარი – აი, აქ არის ბესიკი დამარხული, წამოვიძახე ... ბესიკის სამარესთან ვდგევარ, მაგრამ ვინ იცის იქნებ ნეშტი გადატანილია? ვფიქრობ მე ... ახ, ადრე რომ გვცოდნოდა, არაფერს დავზოგავდით, არც სამარის პოვნისთვის არც ბიოგრაფიული მასალების გამოჩხრეკისათვის ჩვენს მუზეუმში, ახლა კი ომმა აგვირია სახლ-კარი“.<sup>1</sup>

1958 წელს გიორგი ლეონიძესთან ერთად რუმინეთში იმოგზაურა ვახტანგ ბერიძემ, რომელმაც 1959 წელს ჟურნალ ცისკარში გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია. აი რას წერდა ვახტანგ ბერიძე, „რამდენიმე წუთის შემდეგ შემოდინა იასის არქივის დირექტორი გეორგე უნგურიანუ და არლუსისის (საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისა და მეგობრობის რუმინული საზოგადოება) აქაური განყოფილების მდივანი ილიე გუზუ. მათთვის ბუქარესტიდან უცნობებიათ ჩვენი ჩამოსვლის ამბავი. ეს პირველივე შეხვედრა რუმინეთის მიწაზე გულთბილი და მეგობრული იყო. გიორგი ლეონიძე და უნგურიანუ ადრევე იცნობდნენ ერთმანეთს. საუბარი მაშინვე ბესიკზე ჩამოვარდა. ბესიკის საფლავის ქვა 1949 წელს სწორედ უნგურიანუს წყალობით აღმოჩნდა, მაგრამ იასის არქივებში თვით ბესიკზე არაფერი ჩანსო, თქვა მან. პოტიომკინის დროინდელი დიდძალი მასალა მოსკოვის არქივებშია და იქ უნდა დაიძებნოსო...<sup>2</sup> გვიან ღამით საშინელ თავსხმაში დავბრუნდით იასაში ... ხუთი იანვარი რუმინეთში ყოფნის უკანასკნელი დღე იყო,

<sup>1</sup> ლეონიძე, *ბესიკ ვაბაშვილი იასაში*, გვ. 386-400.

<sup>2</sup> ბერიძე, *სამი კვირა რუმინეთში*, გვ. 109.

ყველანი კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და ქართული წიგნები გადავეცით საჩუქრად. ერთხანს უნგურთანუსთან ვიყავით არქივში, სწრაფად დავათვალიერეთ სურათების გალერია, ვნახეთ ბესიკის საფლავის ქვა, რომელზედაც დღემდის მშვენივრად იკითხება ქართულ-რუსული ეპიტაფია. ქვა დერეფანში იდო, რადგანაც ისტორიულ მუზეუმში რეორგანიზაციაა და ანგრეული იყო. და სულ ბოლოს მოვინახულეთ ის ადგილი, სადაც ბესიკი იყო დაკრძალული. ძველი ეკლესია დაუნგრევიათ, მის ადგილას ერთი კვარილაა აღმართული. ეკლესიის ნაცვლად ახლა საბაზრო მოედანია და ბესიკის საფლავზე დახლებია გამართული. ფიქრობენ რომ ბესიკი სხვა მიცვალებულთა მსგავსად, აქედან სადღაც გადაასვენეს, მაგრამ ნამდვილად არავინ არაფერი იცის. გიორგი ლეონიძეს უნდოდა საფლავის გათხრა, მაგრამ ასე სახელდახელოდ, სათანადო ორგანოების ნებართვის გარეშე გათხრა არ მოხერხდა ... მაინც მთავარი ხომ ეს არ არის: ახლა ხომ იქ ყველამ იცის, რომ დიდი ქართველი პოეტი მათს მიწაში განისვენებს, მის სახელს იცნობენ და პატივისცემით იხსენიებენ“.<sup>1</sup>

გიორგი ლეონიძე აგრძელებდა ბესიკის საფლავის ძებნას. აი რას წერდა 1969 წელს რუმინელი მიხაი ნოვიკოვი, „Леонидзе чтил прошлое своего народа. Именно это заставило его впоследствии не раз возвращаться в Румынию, в надежде найти в конце концов в Яссах могилу грузинского поэта XVIII века Бесики. Удалось или не удалось ему добиться желанного, мне к сожалению неизвестно ... Важно то, что могила эта притягивала его, как магнит ... Помню я как то многозначительно намекнул о странном совпадении – могила Бесики в Молдове, т. е. в той же румынской области, где производится и знаменитый ‘Котнар’. Как это получается, что могилу Бесики Леонидзе не находит, а вот наилучший ‘Котнар’ – всегда ... Ты напрасно смеешься, дело не в том, найду или не найду я могилу Бесики а в том что я обязан ей искать, в той же мере, как я обязан изучать всё то что связано с историей моего народа ... Конечно я приезжаю в Румынию не только из за могилы Бесика, но и потому что что я люблю румынский народ ... Меня тянет сюда и могила Бесики и душа румынского народа“.<sup>2</sup>

1989 წელს, როდესაც გივი მეფისაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბესიკი გადმოესვენებინათ საქართველოში, ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი იყო მხოლოდ ბესიკის დაკრძალვის მიახლოებითი ადგილი. ცხადია შესაძლებელი იყო იმ ადგილზე გარკვეული კვლევების ჩატარება, თუმცა ძნელი სათქმელია რა გამოირკვეოდა. ყოველ შემთხვევაში ყველა თანხმდებოდა, რომ ბესიკის საფლავი იასაში იყო. არაფერი იქნებოდა სადავო, რომ არა ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია.

ეს ინფორმაცია დაიბეჭდა ქართულ ემიგრანტულ გაზეთში „თეთრი გიორგი“ 1929 წელს. სტატიის ავტორი იყო ქართველი მიხეილ დადიანი.

<sup>1</sup> ბერიძე, *სამი კვირა რუმინეთში*, გვ. 119.

<sup>2</sup> დადიანი, *დავინწყებული საფლავი*, გვ. 3.

1921 წლის თებერვალში, როდესაც საქართველო იბრძოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ცდილობდა საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვას, მიხეილ დადიანი როგორც სამხედრო სკოლის მსმენელი, იუნკერი იბრძოდა ფრონტზე. შემდეგ სხვა იუნკერებთან და ოფიცრებთან ერთად წავიდა ემიგრაციაში. დამკვიდრდა პოლონეთში და გახდა პოლონეთის არმიის ოფიცერი. აი რას წერდა მიხეილ დადიანი, „1921 წელს შემთხვევით მოვხვდი რუმინეთში ქ. ბუქარესტში. გაგონილი მქონდა რა რომ აქ დიდი ქართველი მარხია. შევუდექი მისი საფლავის ძეგლს. გავეშურე ქალაქის დიდ სასაფლაოსკენ, სადაც უნაყოფო ძეგლის შემდეგ მიმასწავლეს ერთ-ერთი საეკლესიო დაწესებულება. ამ დაწესებულების არხივების გადასინჯვის შემდეგ მითხრეს, რომ სასაფლაოს ამ უბანში ამა და ამ ნომრით უნდა იყოს საფლავიო, საქართველოს დესპანის ბესარიონ გაბაშვილისო. გულის ფანჯკვალით გავეშურე ისევ იმ სასაფლაოზედ. უალრეს სიამოვნებას დიდი მწუხარება ენაცვლებოდა. ეს მწუხარება კი გაორკეცდა, როდესაც თვით საფლავი ვნახე. ასეთი დიდი კაცის. ჩვენი ლიტერატურის დამამშვენებელი მგოსნის ბესიკის საფლავი გულშემზარავ სურათს წარმოადგენს. ოდესღაც უთუოდ მშვენიერის ძეგლის, მხოლოდ კვალიღა დარჩენილა და ისიც იმდენად პატარა, რომ ძლივს შეიძლება ადამიანმა ორიოდე ლათინურად წარწერილი სიტყვა და მათ შორის ‘ჯორჯიო’ და ‘გაბა’ ამოიკითხოს, რაც აუცილებლად მგოსნის გვარის ნაწილს წარმოადგენს. შესაძლოა ამ საფლავის ასე დავიწყება იმის მიზეზი იყოს, რომ დანამდვილებით არც კი ვიცოდით სად იყო დასაფლავებული ბესიკი, ვინაიდან არსებობდა ასეთი აზრი, რომ ის ქ. იასაში მარხია, მაგრამ იქ ვინმე სხვა დიდი ქართველი უნდა იყოს დასაფლავებული. ეხლა კი რადგან დარწმუნებით ვიცით მისი საფლავის ადგილი, გვმართებს მისი მოვლა, მით უმეტეს, რომ კანონით ასი წლის გავლის შემდეგ მოუვლელი საფლავი იკარგება უკვალოდ და იმ ადგილას სხვა მიცვალებულს ასაფლავებენ. მართალია დღევანდელ ჩვენს პირობებში ძნელია მიცვალებულზე ზრუნვა, როდესაც მთელი ცოცხალი ერი საშინელ განსაცდელშია, მაგრამ არც ისე ძნელია ქართველ საზოგადოებისთვის თითო-ოროლა ფრანკის გამოღებით ორიოდე ათასი ფრანკის მოგროვება და უბრალო ხის ჯვარის და წარწერის დადგმა, რათა არ აღიგავოს სამარადისოდ დიდი მგოსნის საფლავი. მომავალ თაობას კი იმედი გვაქვს შესაფერისად შეეძლება ასეთ მამულიშვილთა ხსოვნას შესაფერი პატივი სცეს. დღეს ძალიან ხშირად გვესმის, რომ მადლიერი ერი უბრალო ჯარისკაცებს შორეულ ციმბირიდან ამერიკაში და საფრანგეთში მოასვენებენ, რომ მათი ცხედარი მშობლიურ მიწას მიაბარონ. პოლონეთში ხომ არამც თუ მგოსნებს და დიდად დამსახურებულ მამულიშვილებს, არამედ ამბოხებაში მონაწილეთა გადაკარგულ საფლავებს ეძებენ და ხან შორეული ამერიკიდან და ხან სირიიდან დიდის ამბით და მთელი ერის მონაწილეობით სამშობლოში მოასვენებენ ხოლმე. ჩვენ ჯერჯერობით ასე შორს ვერ წავალთ, მაგრამ რაც შეგვიძლია ის რომ ვქნათ ეგეც საკმარისია, რომ ბესიკის საფლავი ნაშლილი

არ იქნეს და ამით მადლიერი ერის მცირე ნაწილმა მაინც პატივი სცეს მის ხსოვნას“.<sup>1</sup>

ემიგრანტულ გაზეთში დაწერილი წერილი ცხადია საბჭოთა საქართველოში ვერ გავრცელდებოდა და ვერავინ წაიკითხავდა. ვფიქრობ მიხეილ დადიანის წერილი უცნობი იყო ნიკო ბერძენიშვილისა და გიორგი ლეონიძისთვისაც. თავისთავად საინტერესოა, იცოდა თუ არა ვინმემ საბჭოთა საქართველოში ამ წერილის შესახებ. თუმცა აქ მთავარია, თუ ვისი საფლავი ნახა მიხეილ დადიანმა ბუქარესტში? ბესიკის? მაშინ გამოდის რომ ბესიკი ვილაცამ გადაასვენა ბუქარესტში. ვინ? თუ ბესიკის ნეშტი გადაასვენეს, რატომ დატოვეს მისი საფლავის ძვირფასი ქვა?

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მიხეილ დადიანი არ წერს ბუქარესტის რომელ სასაფლაოზე ნახა საფლავის ქვა. ეს უკვე გამორიცხავს გადამონშების საშუალებას. გადამონშების იმიტომ, რომ წამკითხველი შესაძლოა შეცდა, როდესაც საფლავის ქვაზე ამოიკითხა ასოები „გაბა“. ცხადია, დასაშვებია, რომ ვილაცამ ბესიკის ნეშტი მართლაც გადაასვენა იამიდან ბუქარესტში, მაგრამ ვინ? ვინ იყო ბესიკის ასეთი გულშემატკივარი თუ თაყვანისმცემელი, რომ ეს რთული საქმე ითავა? და რატომ დატოვა საფლავის ქვა, ძვირფასი მარმარილოს ქვა? იმიტომ ხომ არა, რომ ქვის გადატანა კიდევ უფრო ართულებდა მის არც თუ მარტივ ამოცანას. და რატომ მაინცდამაინც ბუქარესტში და არა იქვე იაშის სხვა სასაფლაოზე? ამ კითხვებზე პასუხი არ არსებობს. ვარაუდით კი ბევრი რამის ვარაუდი შეიძლება.

მე მაინც ვფიქრობ, რომ მიხეილ დადიანმა რომელიღაცა სხვა ქართველის საფლავი ნახა, თუკი წაკითხვა მართებულისა, და არა ბესიკის. ბესიკის ნეშტი, რომელსაც სავარაუდოდ ჭირისუფალი არ ჰყავდა ან ადგილზე დატოვეს ან იქვე გადაასვენეს.

მიხეილ დადიანის გარდა საზღვარგარეთ მყოფი კიდევ ერთი ქართველი მიიყვანა ბედმა რუმინეთში. ეს იყო ცნობილი მოღვაწე და სწავლული გრიგოლ ფერაძე. 1935 წელს ათონის მთაზე მიმავალმა გრიგოლ ფერაძემ გზად რუმინეთში გაიარა. აი რას წერდა ის, „პირველად რუმინეთს ვესტუმრე ... მე ათ დღეზე მეტი დრო ვერ გამოვნახე, რადგან ჩემი უპირველესი მიზანი იყო ათონის წმინდა მთაზე გამგზავრება. ამის გამო ვიკვლევდი მხოლოდ ყველაზე აუცილებელსა და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. მე არ ვცდილვარ გამომეკვლია სახელგანთქმული ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრება რუმინეთში, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლები ამ ქვეყანაში გაატარა და იქვე გარდაიცვალა“.<sup>2</sup>

თავის დროზე მიხეილ კვესელავა წერდა, „დასანანია, რომ დღემდე თავი არ მოემა საქმეს და ამ მოედანს მართლაც არ ეწოდა ბესიკის სახელი. არც ბესიკის ბიუსტი დადგმულა მისი სამუდამო განსასვენებლის ადგილას. მე მხოლოდ სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის მიერ შესრულებული პორ-

<sup>1</sup> ფერაძე, ქართული ელემენტის გავლენა, გვ. 91.

<sup>2</sup> კვესელავა, ას ერგასის დღე, გვ. 64.

ტრეტის ორიგინალი ჩავიტანე რუმინეთში და საზეიმოდ გადავეცი აკადემიკოს პარხონს 'ბესიკის მუზეუმისთვის'. არც ასეთი მუზეუმის შესახებ მსმენია დღემდე რამ. ისე კი გოლის ტაძარში ახლაც არის კედელთან აყუდებული მარმარილოს ფიქალი".<sup>1</sup>

ამჟამად ქალაქ იაშიში დგას ბესიკის ბიუსტი. აი რა ინფორმაცია მოგვანოდა საქართველოს ელჩმა რუმინეთში, ბატონმა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა, „მიხიელ კვესელავას იდეას, ბესიკის ბიუსტის შექმნის შესახებ ხორცი შეასხა ცნობილი ქართველი იურისტის, იაკობ ჯინჯიხაშვილის და მისი მეუღლის, ფანი ჯინჯიხაშვილის (Fanny Jinjikhashvili, ქალიშვილობის გვარი – ტოლცისი Toltis) ქართულ-რუმინულმა ოჯახმა. მათთან ერთად ამ საქმის დიდი გულშემატკივარი იყო რუმინელი მწერალი, მირჩა რადუ იაკობანი (Mircea Radu Iacoban). გაბრიელ ჯინჯიხაშვილისა და ნუგზარ სარჯველადის სპონსორობით ბრინჯაოში ჩამოსხა ბესიკის ბიუსტი, რომლის ავტორი მოქანდაკე დავით მაისურაძეა. 2018 წლის 25 ივლისს, იაშის მერმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ იაშის ისტორიულ ცენტრში დაარსდეს რუმინულ-ქართული მეგობრობის მოედანი, სადაც ბესიკ გაბაშვილის ბიუსტი დაიდგმებოდა. 2019 წლის 24 იანვარს, ბესიკის გარდაცვალების დღეს იაშის კოსტაკე ნეგრის ხეივანში (Esplanada Costache Negri) ბიუსტი საზეიმოდ გაიხსნა ... ბესიკის საფლავის ქვა ამჟამად ინახება მოლდოვის ისტორიის მუზეუმის ლაპიდარიუმში, რომელიც განთავსებულია იაშის კულტურის სასახლეში, მისამართზე Piata Stefan cel Mare si Stant nr.1“.

აღბათ უნდა ვაღიაროთ, რომ ცნობილი ქართველი პოეტის ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის) საფლავი დაკარგულია. ცნობილია მხოლოდ ადგილი, სადაც ის დაკრძალეს, მაგრამ ის ძველი სასაფლაო აღარ არსებობს. აღარ არსებობდა ის არც იმ დროს, როდესაც 1945-1952 წლებში, ცნობილი ქართველი ბოლშევიკი სერგო ქავთარაძე საბჭოთა კავშირის ელჩი იყო რუმინეთში. 1949 წელს, როდესაც ბესიკის საფლავის ქვა იპოვეს, მისი გამოგზავნა საქართველოში აღბათ იმ დროს მართლაც შესაძლებელი იყო (სხვა საკითხია რა საჭირო იყო ეს). მაგრამ პოეტის ნეშტის მოძიება არ იქნებოდა ადვილი, თუკი ეს საერთოდ იყო შესაძლებელი. მით უმეტეს ეს აღბათ ვერ მოხერხდებოდა 1989 წელსაც, თუნდაც ამის დიდი სურვილი ყოფილიყო.

---

<sup>1</sup> კვესელავა, *ას ერგასის დღე*, გვ. 64.

**დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**  
**Cited Sources and Literature**

- ბარამიძე, ნარკვევები** – ბარამიძე ა., *ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. 2, 1940  
(**Baramidze, Fragments** – Baramidze A., *Essays on the History of Georgian Literature*, vol. 2, 1940).
- ბარამიძე, ბესარიონ გაბაშვილი** – ბარამიძე ა., *ბესარიონ გაბაშვილი (გარდაცვალების 155 წლისთავის გამო)*, გაზეთი „კომუნისტი“, 1946, №32, 12 თებერვალი  
(**Baramidze, Besarion Gabashvili** – Baramidze A., *Besarion Gabashvili (on the 155<sup>th</sup> anniversary of his death)*, Newspaper “Komunisti”, 1946, No. 32, February 12).
- ბერიძე, სამი კვირა რუმინეთში** – ბერიძე ვ., *სამი კვირა რუმინეთში*, ჟურნალი „ცისკარი“, 1959, №9  
(**Beridze, Three Weeks in Romania** – Beridze V., *Three Weeks in Romania*, Journal “Tsiskari”, 1959, No. 9).
- ბერძენიშვილი, ძლევაი** – ბერძენიშვილი ნ., *„ძლევაი“ (გამარჯვება): რუმინია-ბულგარეთში მოგზაურობიდან*, თბილისი, 1949  
(**Berdzenishvili, Dzlevai** – Berzenishvili N., *“Dzlevai” (Victory): From a journey to Romania and Bulgaria*, Tbilisi, 1949).
- ბესიკი, თხზულებათა კრებული** – ბესიკი, *თხზულებათა კრებული*, გამომცემლები ბარამიძე ა., თოფურია ვ., თბილისი, 1932  
(**Besiki, Collected Works** – Besiki, *Collected Works*, Published by Baramidze A. and Topuria V., Tbilisi, 1932).
- გიგინეიშვილი, ბესიკის საფლავი** – გიგინეიშვილი ო., *ბესიკის საფლავი*, გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წლის 9 ოქტომბერი, №40  
(**Gigineishvili, Besiki's Grave** – Gigineishvili O., *Besiki's Grave*, Newspaper “Lit’erat’ura da Khelovneba” [“Literature and Art”], 1949, October 9, No. 40).
- დადიანი, დავიწყებული საფლავი** – დადიანი მ., *დავიწყებული საფლავი*, გაზეთი „თეთრი გიორგი“, 1929, №23  
(**Dadiani, A Forgotten Grave** – Dadiani M., *A Forgotten Grave*, Newspaper “Tetri Giorgi”, 1929, No. 23).
- იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა** – იოსელიანი პ., *ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა*, ტფილისი, 1895  
(**Ioseliani, The Life of King George XIII** – Ioseliani P., *The Life of King George XIII*, Tbilisi, 1895).
- კვესელავა, ას ერგასის დღე** – კვესელავა მ., *ას ერგასის დღე*, წიგნი მეორე, ევროპის მოტაცება, თბილისი, 1970  
(**Kveselava, Day of Atonement** – Kveselava M., *Day of Atonement*, Volume Two, *The Abduction of Europe*, Tbilisi, 1970).

**ლეონიძე, ბესიკ გაბაშვილი იასაში** – ლეონიძე გ., *ბესიკ გაბაშვილი იასაში* (დღიურიდან: *მოგ ზაურობა რუმინეთში*), წიგნში: მისივე, *გამოკვლევები და წერილები*, თბილისი, 1958

**(Leonidze, Besik Gabashvili in Iasi** – Leonidze G., *Besik Gabashvili in Iasi (From the Diary: Journey to Romania)*, In: Idem, “Studies and Essays”, Tbilisi, 1958.

**მაჭარაძე, გიორგი ლეონიძე** – მაჭარაძე ვ., *გიორგი ლეონიძე და რუმინულ ქართული ლიტერატურული ურთიერთობები*, თბილისი, 1976

**(Macharadze, Giorgi Leonidze** – Macharadze V., *Giorgi Leonidze and Romanian-Georgian literary relations*, Tbilisi, 1976).

**მეფისაშვილი, გადმოვასვენოთ ბესიკი სამშობლოში** – მეფისაშვილი გ., *გადმოვასვენოთ ბესიკი სამშობლოში*, ჟურნალი „განთიადი“, 1989, №1

**(Mepisashvili, Let Us Bring Besiki's Remains Home** – Mepisashvili G., *Let Us Bring Besiki's Remains Home*, “Gantiadi”, 1989, No. 1).

**ფერაძე, ქართული ელემენტის გავლენა** – ფერაძე გ., *ქართული ელემენტის გავლენა ბალკანეთის ხალხების სულიერ კულტურაზე*, პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისია, III, ვარშავა, 2021

**(Peradze, The Influence of the Georgian Element** – Peradze G., *The Influence of the Georgian Element on the Spiritual Culture of the Balkan Peoples*, Polish-Georgian Commission of Historians, Collected Works, Volume III, Warszawa 2021).

**ცაიშვილი, ბესიკი** – ცაიშვილი ს., *ბესიკი*, თბილისი, 1962

**(Caishvili, Besiki** – Caishvili S., *Besiki*, Tbilisi, 1962).

**ჭიჭინაძე, ბესიკი** – ჭიჭინაძე ზ. (გამომცემელი), *ბესიკი, ლექსნი თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისგან*, ტფილისი, 1885

**(Chichinadze, Besiki** – Chichinadze Z. [Publisher], *Besiki, Poems recited by Besarion Gabashvili*, Tbilisi, 1885).

**ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია** – ხახანაშვილი ა., *ქართული სიტყვიერების ისტორია*, ტფილისი, 1904

**(Khakhanashvili, A History of the Georgian Literature** – Khakhanashvili A., *A History of the Georgian Literature*, Tbilisi, 1904).

**Brosset, Histoire de la Géorgie** – Brosset M., *Histoire de la Géorgie*, II, S.-Petersbourg, 1857

**(Brosset, History of Georgia** – Brosset M., *History of Georgia*, Volume II, St. Petersburg, 1857).

**Бутков, Материалы** – Бутков П., *Материалы для новой истории Кавказа*, Часть вторая, Санкт-Петербург, 1869

**(Butkov, Materials** – Butkov P., *Materials for the New History of the Caucasus*, Volume II, St. Petersburg, 1869).

**From the History of the Search  
for Besiki's Grave**

Summary

The renowned Georgian poet Besarion Gabashvili (1750-1791), better known as Besiki, travelled to Russia in 1787 on a diplomatic mission on behalf of King David of Imereti, son of Giorgi. During this mission, he met Field Marshal Grigori Potemkin and resided at Potemkin's camp, initially in Chisinau and later in Iași, where he passed away in 1791.

For a long time, not only the location of Besiki's death and burial but even the exact date of his passing remained a matter of controversy.

On March 27, 1949, Niko Berdzenishvili discovered Besiki's tombstone. However, the grave itself no longer existed, as the old cemetery had been closed. While the discovery of the tombstone was significant, uncertainty remained regarding whether Besiki's remains had been relocated or left in their original resting place.

Giorgi Leonidze, who visited Romania multiple times, was particularly interested in the location of Besiki's grave. In 1958, Vakhtang Beridze, who accompanied him on one of these trips, wrote: "Finally, we visited the place where Besiki is buried. The old church has been demolished, and in its place, now stands a marketplace, with stalls set up near Besiki's supposed resting site. It is believed that, like others buried there, Besiki's remains were moved elsewhere – but no one knows for certain".

Interestingly, as early as 1885, Zakaria Chichinadze was already aware of the inscription on Besiki's tombstone. In a book published that year, he provided an almost exact rendition of the inscription. It is likely that someone who had seen Besiki's grave firsthand relayed this information to him. However, the identity of this individual and the circumstances under which they visited Iași remain unknown.

In early 1989, Givi Mepisashvili, Chairman of the Kutaisi Writers' Union, published an appeal titled "Let Besiki Rest in His Homeland". This was accompanied by a letter sent to him in 1967 by Sergo Kavtaradze, the Soviet Ambassador to Romania from 1945 to 1952. In the letter, Kavtaradze wrote: "As far as I remember, Besiki was buried by his brother. I preserved his tombstone in Iași. The grave itself was never searched for. In my opinion, it would not have been difficult to find, as the churchyard was quite small. During my time, it had already become a marketplace. I reported this in detail to Moscow and Georgia, but my appeals found no response from the so-called 'patriots' of that time. I could have arranged for the transfer of Besiki's remains and tombstone to Georgia... but my voice remained unheard".

When Mepisashvili proposed reburying Besiki in Georgia, the only known information about his burial site was that it had been located somewhere in Iași. However, a particularly intriguing piece of evidence emerged that complicated the matter.

In 1929, the Georgian émigré newspaper “Tetri Giorgi” published an article by Mikheil Dadiani, a Georgian cadet and later an officer in the Polish army. In this article, Dadiani recounted that after leaving Georgia in 1921, he found himself in Romania, specifically in Bucharest, where he claimed to have discovered Besiki’s grave in one of the city’s cemeteries: “Besiki’s grave is in a terrible state. What was undoubtedly once a beautiful monument has been reduced to a mere trace, so eroded that only a few words in Latin are still visible – among them ‘Giorgio’ and ‘Gaba,’ which must be part of Besiki’s surname. Perhaps this grave was forgotten because we never had certainty about Besiki’s burial site. Many believed he was buried in Iași, possibly confusing him with another prominent Georgian figure. Now that we know exactly where his grave is, we are obliged to take care of it”.

However, Dadiani did not specify which cemetery in Bucharest he had visited, making verification of his claim impossible. Moreover, it is conceivable that he misread the inscription, mistakenly interpreting the letters “Gaba” as a reference to Besiki.

While it is theoretically possible that someone transferred Besiki’s remains from Iași to Bucharest, the question remains – who would have undertaken such an arduous task? Why would they leave behind the tombstone, a valuable marble slab? Perhaps because moving it would have been too difficult? And why reinter him in Bucharest rather than in another cemetery in Iași?

There are no definitive answers. One can only speculate. However, I am inclined to believe that Dadiani misidentified another person’s grave as Besiki’s.

Given that the poet had no relatives in the area, it is plausible that when the cemetery in Iași was dismantled, his remains were either left in situ or reburied in a nearby location.